ჯაჭვის ხიდი
ლეგენდა

1

ვის უნახავს ძველისძველი
ჯვარის მონასტერი,
რომლის გუმბათს თავს ევლება
ნისლი მშვენიერი
ვის უნახავს ძველისძველი
ჯვარის მონასტერი?

2

იგი დღესაც ისევე სდგას,
როგორც იდგა წინათ:
წარსულ დროთა მატიანეთ,
დიდების გვირგვინათ
-დღესაც ისე ამაყად სდგას,
როგორც იდგა წინათ.

3 .

ქორის გზიდან ეს ტაძარი
ისე მოსჩანს მთაზე,
ვით ზღაპრული ციხე-კოშკი,
დაკიდული ცაზე შორის გზიდან ეს ტაძართ
ისე მოსჩანს მთაზე,
რომ მგზავრის თვალჟ შეაჩერებს
მისი სილამაზე.

4

თურმე უწინ ამ ტაძარში

იყო ვინმე ბერი,
წმინდა მამას უწოდებდა
ქრისტიანი ერი თურმე უწინ ამ ტაძარში
იყო ვინმე ბერი,
თოვლიან ტყეს ჩამოჰგავდა
მისი თმა და წვერი.

5

წმინდა ჯვარის მონასტრიდან
მცხეთის მონასტრამდე
ხიდთ იყო გადებული,
ღვთის და ცის რისხვამდე
წმიდა ჯვარის გუმბათიდან
მცხეთის გუმბათამდე
ჯაჭვის ხიდი ქანაობდა,
ბერის წაწყმენდამდე.
არაგვი მნხმასრობდა
ჯაჭვის ხიდის ქვეშა,
გულ-ხვეული მოღელავდა,
ეხლებოდა კლდესა
არაგვი მოხმაურობდა
ჯაჭვის ხიდის ქვეშა,
მის ხმაურში მოისმოდა
დედა-ქართლის კვნესა.

6

ერთხელ ბერი ჯაჭვის ხიდით
მცხეთას გადიოდა,
ხიდქვეშ ქალი ბანაობდა,
წყალზე ქანაობდა:
სითეთრით და სილამაზით
აფროდიტას სჯობდა,
ტალღა ვნებით ეხვეოდა,
ეშხით მუსიკობდა

ჯაჭვის ხიდით მცხეთისაკენ
ბერი გადიოდა,
ხიდ ქვეშ ქალი ბანაობდა.
ზვირთზე ქანაობდა.

7

ოვალი მოჰკრა შიშველ ქალწულს
და დაება ბერი,
ანგელოსიც არ უნახავს
ისე მშვენიერი,
ვით ის ქალი მოლივლივე,
ქალი ტან-შიშველი:
თეთრ გულ-მკერდზე უფეთქოდა
ორი სეფისკვერი,
გაუშლელი ორი კვირტი.
ორივ ხორბლის ფერი,
სამაცდურო ცოდვის ქსელი,
სიყვარულის ფსკერი.

8

ბერი ვნებით ჩააშტერდა
წამწყმედ ძუძუებში,
ჩაწყდა ჯაჭვი, ჩაიღუპა
არაგვის ზვირთებში...

9

და მას შემდეგ სიყრუეა
ჯვარის მონასტერში,
საცეცხლურად დაკიდულან
ღამურები ჭერში.

აღარავინ აღარ სწირავს
დღეს ამ მონასტერში
და ისპობა ყოველივე
დრო და ჟამის მტვერში,
მხოლოდ რჩება ეს ლეგენდა
უკვდავ ქართველ ერში.
1916 ჩ.